

ნონა აბაშიძე, ინდირა ჯაფარიძე, მაია ხარაძე, მაია ვანიძე,
ალეკო კალანდია

*დასავლეთ საქართველოში მოწეული სხვადასხვა
წარმოშობის თაფლის პასპორტები*

ბათუმი 2020

აღნიშნული პროექტი განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური ხელშეწყობით (გრანტი AP/96/13 და 216816). წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი აზრი ეკუთვნის ავტორებს და შესაძლოა არ ასახავდეს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის შეხედულებებს

მონოგრაფია ეძღვნება დასავლეთ საქართველოში მოწეული სხვადასხვა წარმოშობის თაფლის ქიმიური შედგენილობის შესწავლას კვლევის თანამედროვე ინსტრუმენტული მეთოდებით და მიღებული მონაცემების საფუძველზე პასპორტების შექმნას, სადაც აღწერილია თაფლის ქიმიურ შედგენილობას, მცენარეულ წარმოშობასა და ალების ადგილმდებარეობას შორის დამოკიდებულება. მსგავსი პასპორტიზაცია მიღებული პრაქტიკაა იმ ქვეყნებში, სადაც თაფლის ექსპორტი პრიორიტეტული მიმართულებაა.

მონოგრაფია საინტერესო იქნება საბუნებისმეტყველო, აგრარული და კვების პროდუქტების ტექნოლოგიის მიმართულებების სპეციალისტების, სტუდენტების, ფერმერების და მეწარმეებისათვის.

რედაქტორი:

მერაბ არძენაძე - ტექნოლოგიის აკადემიური დოქტორი

რეცენზენტები: დარეჯან ჩიქოვანი -სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი

გულთამაზე თავდგირიძე-ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი

სარჩევი

1. შესავალი	4
2. თაფლში მტვრის მარცვლების იდენტიფიკაცია	17
3. დასავლეთ საქართველოში მოწეული თაფლის პასპორტები	55
4. გამოყენებული ლიტერატურა	240

შესავალი

თაფლი მაღალი კვებითი ღირებულების მქონე პროდუქტია, თავისი უნიკალური ქიმიური შემადგენლობის გათვალისწინებით. თაფლის შემადგენლობა მეტად მრავალფეროვანია და დამოკიდებულია მის ბოტანიკურ და გეოგრაფიულ წარმოშობაზე (12,14).

თაფლი თავისი უნიკალური თვისებების გამო წარმოადგენს ერთ-ერთ მეტად პოპულარულ ნატურალურ პროდუქტს, რომლის კვებითი ღირებულება და თერაპიული მოქმედება უძველესი დროიდან იყო ცნობილი (12).

დღეისათვის მსოფლიოს მრავალი ქვეყანა მისდევს მეფუტკრეობას, აწარმოებს სხვადასხვა სახის თაფლს და შესაბამისად მსოფლიო ბაზარზე ის ნაირსახეობითაა წარმოდგენილი (12).

საქართველოში მეფუტკრეობას უძველესი დროიდან ეწეოდნენ, ძირითადად განვითარებული იყო ტყიური, ნახევრად ტყიური და შინაური მეფუტკრეობა, რომლის განვითარებაშიც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ისეთი ბუნებრივი კომპონენტების არსებობას, როგორცაა: უხვი თაფლოვანი მცენარეები (ცაცხვი, წაბლი, წყავი, სურო, ქაცვი, ძაღლყურძენა, თავშავა და სხვა), ტყის ფუტკარი („ხეფუტკარა“, კლდის ფუტკარი) და კავკასიური გრძელხორთუმიანი ფუტკრის ადგილობრივი პოპულაცია (12).

დღეისათვის საქართველოში წამყვან როლს ძირითადად შინაური მეფუტკრეობა იწარმოებს, თუმცა ნახევრად შინაური (ნახევრად ველური, ნახევრად ტყიური) ფორმა დღესაც არის შემორჩენილი, იგი ძირითადად დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ და ალპური ზონის ტყეებში გვხვდება (12).

თაფლის შემოწმება ხდება ქიმიური შედგენილობის მიხედვით, რისთვისაც გამოიყენება ევრორეგულაციით რეკომენდირებული მეთოდები. შესაბამისად ამავე დოკუმენტით რეგულირდება მათი ზღვრული მაჩვენებლები (13, 14):

ნიმუშის აღება AOAC 920.180

წყალი და მშრალი ნივთიერება AOAC 969.38B, რეფრაქტომეტრია

დიასტაზური აქტიობა AOAC 958.09 სპექტრალური მეთოდი;

უხსნადი ნივთიერებების განსაზღვრა გრავიმეტრული მეთოდი;

ინვერტაზული აქტივობის განსაზღვრა სპექტრალური მეთოდი;

ნახშირწყლების შემცველობა- HPLC-RI (რეფრაქციული ინდექსი) მეთოდით

თავისუფალი და აქტიური მჟავიანობა- ტიტრაცია, pH-მეტრია

ელექტროგამტარობა- კონდუქტომეტრია

ნაცარი- გრავიმეტრია

მინერალები - HPLC -კონდუქტომეტრული (Conductometer) მეთოდით

პროლინი- სპექტრალური მეთოდი

ცილა - სპექტრალური მეთოდი

საერთო ფენოლები- სპექტრალური მეთოდი

ფენოლკარბომჟავების შემცველობა- სპექტრალური მეთოდი, HPLC-UV მეთოდით

ანტიოქსიდანტური აქტიურობა- სპექტრალური მეთოდი

მტვრიანების იდენტიფიკაცია - მიკროსკოპული ანალიზი - თაფლის მიღების მცენარეული წყაროს იდენტიფიცირებისათვის და შესაბამისად ბოტანიკური და გეოგრაფიული წარმოშობის დასადგენად გამოიყენება რამდენიმე მარკერი, რომელთა შორისაც მნიშვნელოვანია თაფლოვან მცენარეთა მტვრიანებისა (9) და თაფლის ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების კვლევა (2), ასევე მტვრიანების მორფოლოგიური სტრუქტურისა და კონცენტრაციის დადგენა. სწორედ ამ პარამეტრების ერთობლივი

კვლევის შედეგად ხდება თაფლის წარმოშობის დადასტურება (1,5,10). თაფლის წარმოშობის დადასტურებისათვის რამდენიმე პარამეტრი გამოიყენება, კერძოდ, შაქრების შემცველობა, ელექტროგამტარობა და ამინომჟავური შემადგენლობა, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ამ პარამეტრებზე დაყრდნობით ვერ ხერხდება წარმოშობის დადასტურება (4,6,8). ყველაზე ფართოდ გავრცელებული მეთოდი ეს არის მტვრიანების ანალიზი, რომელიც გვაძლევს საშუალებას მოვახდინოთ იმ მცენარეთა იდენტიფიკაცია, რომლის მტვრიანებიც გვხდება თაფლში, ასევე, დავადგინოთ გეოგრაფიული რეგიონი, სადაც იყო შეგროვებული ნექტარი (7,10). აქედან გამომდინარე, მტვრიანების მიკროსკოპული კვლევა არის ყველაზე სანდო ტესტი, რომლის შედეგები მეტად ინფორმაციულია. ბევრი მიზეზი არსებობს, რის გამოც მეტად მნიშვნელოვანია მტვრიანების ანალიზი, მაგ, კანონმდებლობა ითხოვს სწორ ეტიკეტირებას. კერძოდ, ტექნიკური რეგლამენტი ადგენს მოთხოვნებს: თაფლის მარკირებისა და ეტიკეტირების შესახებ, თაფლის შესაბამისობის კონტროლის პროცედურებს. ბაზარზე განთავსებული თაფლის ეტიკეტმა, აღწერილობამ და წარდგენამ შეცდომაში არ უნდა შეიყვანოს მომხმარებელი (4,5,6,10).

ტექნიკური რეგლამენტის თანახმად, დაშვებულია თაფლის ეტიკეტზე, გარდა გაფილტრული თაფლის და საკონდიტრო თაფლისა, აღნიშნულ იქნეს: როგორც, რეგიონული, ტერიტორიული ან ტოპოგრაფიული რაიონი, ასევე, მცენარის ან მცენარეების დასახელება, თუ თაფლი სრულად ან ძირითადად მიღებულია ამ მცენარის, ან მცენარეების ყვავილის ნექტრისაგან და ახასიათებს ფიზიკურ-ქიმიური, ორგანოლექტიკური და მორფოლოგიური მახასიათებლები, რომლებიც მხოლოდ ამ მცენარის ან მცენარეების ყვავილის ნექტრისაგან მიღებული თაფლისთვის არის დამახასიათებელი. ამ შემთხვევაში, მცენარის ბოტანიკური დასახელება მითითებული უნდა იქნეს უშუალოდ სიტყვა „თაფლთან“ (მაგ. „თაფლი აკაციის“, „თაფლი წაბლის“) ერთად (12).; მონოფლორული თაფლი მიღებულია ნექტარისაგან, რომელიც შეგროვებულია ერთი ტიპის მცენარისაგან. იგი ხასიათდება მეტად სპეციფიკური გემოთი და ფერით, რომელიც დამახასიათებელია კონკრეტული ტიპის მცენარის ყვავილისათვის. მონოფლორული თაფლები, როგორცაა „Manuka“, „Tualang“, „jujube“ და აკაცია, მეტად ღირებული თაფლებია, მაგრამ ხშირად ექვემდებარება ფალსიფიკაციას მაღალი ფასის გამო (7). ამიტომ მტვრიანების ანალიზი მეტად

მნიშვნელოვანი პარამეტრია თაფლის წარმოშობის დადასტურებისათვის, შესაბამისად ფალსიფიკაციის დასადგენად.

რეგლამენტის შესაბამისად დაუშვებელია, თაფლიდან ყვავილის მტვრის ან სხვა შემადგენელი კომპონენტის მოცილება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მტვრის ან სხვა შემადგენელი კომპონენტის მოცილება განპირობებულია მასში მოხვედრილი უცხო არაორგანული და ორგანული ნივთიერებების მოცილების აუცილებლობით (5, 10, 12); თაფლში მტვრიანების კონცენტრაცია რეგულირდება ევროპული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად: შემცველობის მიხედვით მტვრიანები იყოფა 4 ჯგუფად: დომინანტი მტვრიანები (45% -ზე მეტი), მეორადი მტვრიანები (16-45%), მნიშვნელოვანი მინორული მტვრიანები (3-15%), მინორული მტვრიანები (3% ზე ნაკლები). ზოგადად, თაფლი ითვლება მონოფლორულად, როცა დომინანტი მტვრიანების შემცველობა 45 % -ზე მეტია და თუ არ არის დომინანტი რაოდენობის მტვრიანა, თაფლი პოლიფლორულია. თუმცა, დომინანტი მტვრიანების რაოდენობა განსხვავებულია სხვადასხვა თაფლისთვის, დომინანტი მტვრიანების საშუალო მაჩვენებელი წაბლის თაფლისთვის 94,5 %, როდოდენდრონის თაფლისთვის 38,6%, აკაციის თაფლისთვის 28,1% და 22,9% ცაცხვის თაფლისთვის და ა.შ (5).

ასევე გათვალისწინებულ უნდა იყოს მტვრიანების რაოდენობა 1 გ თაფლში, რომლის საფუძველზეც თაფლი იყოფა 5 კლასად. კერძოდ, თაფლი ყვავილის ანუ თაფლი ნექტრის, თაფლი ცვარტკბილის და თაფლი პოლიფლორული მიეკუთვნება მეორე კლასს, სადაც 1 გ თაფლში 2100 - დან 10 000-მდე მცენარეული ელემენტი ფიქსირდება. პირველ კლასს მიეკუთვნება მონოფლორული თაფლი, რომლის 1 გრამში 2000-მდე მცენარეული ელემენტია, ხოლო მესამე კლასს მონოფლორული თაფლი, რომლის 1 გრამში 10100 -დან 50000-მდე მცენარეული ელემენტია (5),

თაფლის ნიმუშის მომზადება მიკროსკოპული ანალიზისათვის: ქიმიურ ჭიქაში იღებენ თაფლის ნიმუშის 10 გ \pm 0,1გ და უმატებენ 20 მლ წყალს. მორევით ხსნიან და ათბობენ არა უმეტეს 40°C-სა. შემცველობა გადააქვთ ცენტრიფუგის ჭურჭელში და აცენტრიფუგირებენ 1000 ბრუნი/წმ სიჩქარით 10 წუთის განმავლობაში. ცენტრიფუგირების შემდეგ სითხეს გადაღვრიან და უმატებენ წყლის ახალ ულუფას (20 მლ). კვლავ აცენტრიფუგირებენ 1000 ბრუნი/წმ სიჩქარით 5 წუთის განმავლობაში.

ცენტრიფუგირების შემდეგ მიღებულ სითხეს გადაღვრიან დეკანტაციით. ცენტრიფუგის ჭურჭელს 45 გრადუსიანი კუთხით აყოვნებენ ფილტრის ქალაღზე სითხის სრულად მოცილებისათვის. დარჩენილ ნალექს კარგად აურევენ და გადააქვთ სასაგნე მინაზე, რომელიც წინასწარ არის გაცხელებული 40°C-ზე. თანაბრად ანაწილებენ მინის ზედაპირზე (22x22 მმ) და სასაგნე მინას ნალექით კვლავ აცხელებენ არა უმეტეს 40°C-ს, სრულ გამრობემდე (11).

საფარ მინაზე, რომელიც ასევე წინასწარ არის გაცხელებული 40°C-ზე, დააქვთ გლიცერინ - ჟელატინის ნარევის ერთი წვეთი, რომელსაც ჯვარედინი მოძრაობით ანაწილებენ ზედაპირზე. გლიცერინ - ჟელატინის ნარევის თანაბარი განაწილებისა და მტვრიანების გაჯირჯვებისათვის სასაგნე მინას მტვრიანების ნიმუშით ათავსებენ საშრობ კარადაში 40°C-ზე 5 წუთის განმავლობაში. გლიცერინ-ჟელატინის ნარევისა და მტვრიანების მაქსიმალური გაჯირჯვების შემდეგ ათვალიერებენ მიკროსკოპში (11).

მტვრიანების იდენტიფიკაციისათვის გამოყენებულ იქნა თაფლოვანი მცენარეების მტვრიანების ეტალონური პრეპარატები და სხვადასხვა მცენარეთა მტვრიანების ატლასები (1,3). თითოეული ნიმუში დათვლილ იქნა 500 - ზე მეტი მტვრიანა. მეტი სიზუსტისათვის მტვრიანების დათვლა ხორცილედებოდა სამჯერ და თითოეული ნიმუშისათვის გამოთვლილ იქნა საშუალო მაჩვენებელი.

შემცველობის მიხედვით მტვრიანები იყოფა 4 ჯგუფად: დომინანტი მტვრიანები (45 % მეტი), მეორადი მტვრიანები (16-45%), მნიშვნელოვანი მინორული მტვრიანები (3-15%), მინორული მტვრიანები (3% ზე მეტი) (1,2).

ქვემოთ მოყვანილია საქართველოში მოქმედი ტექნიკური რეგლამენტი – თაფლის შესახებ (14):

მუხლი 1.ზოგადი დებულებები

თაფლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი (შემდგომში - ტექნიკური რეგლამენტი) ადგენს მოთხოვნებს ნატურალური თაფლის მიმართ და აწესრიგებს ბიზნესოპერატორის მიერ თაფლის წარმოებისა და ბაზარზე განთავსების საკითხებს.

მუხლი 2. მიზანი და რეგულირების სფერო

1. ტექნიკური რეგლამენტი მიზნად ისახავს თაფლის წარმოების, გადამუშავების, დისტრიბუციის ეტაპებზე რეგულირების ერთიანი პრინციპების განსაზღვრას.

2. ტექნიკური რეგლამენტი ადგენს მოთხოვნებს:

ა) თაფლის მიმართ;

ბ) თაფლის მარკირებისა და ეტიკეტირების შესახებ;

გ) თაფლის ბაზარზე განთავსების პირობების შესახებ;

დ) მოთხოვნებს ბიზნესოპერატორის მიმართ;

ე) თაფლის შესაბამისობის კონტროლის პროცედურებს.

მუხლი 3. რეგულირების ობიექტი

რეგულირების ობიექტია საქართველოში ბაზარზე განთავსებული თაფლი, მათ შორის:

ა) ყვავილის ანუ ნექტრის თაფლი;

ბ) ცვარტკბილის თაფლი;

გ) შერეული თაფლი.

მუხლი 4. ტერმინთა განმარტებები

1. ამ წესის მიზნებისათვის წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) თაფლი - ბუნებრივად ტკბილი ნივთიერება, პროდუქტი, რომელიც მიიღება მეთაფლია ფუტკრის (*Apis mellifera*) მიერ ყვავილის ნექტრის ან ცვარტკბილის შეგროვების, მისი გარდაქმნის, დეჰიდრატაციის (გაუწყლოების) და ფიჭაში მომწიფების მიზნით შენახვის შედეგად;

ბ) თაფლი ყვავილის ანუ თაფლი ნექტრის (blossom honey ან nectar honey) - თაფლი, მიღებული მცენარ(ებ)ის ყვავილის ნექტრისაგან;

გ) თაფლი ცვარტკბილის (honeydew honey) - თაფლი, მიღებული ცვარტკბილისაგან;

დ) ცვარტკბილი (honeydew) - მწერების (Hemiptera) მიერ მცენარის წვენი გადამუშავებისას გამოყოფილი ტკბილი სითხე. ასევე, არახელსაყრელ კლიმატურ პირობებში მცენარის ფოთლებზე ან სხვა ნაწილებზე გამოყოფილი ტკბილი სითხე;

ე) თაფლი ფიჭის (comb honey) - თაფლი, ცვილისაგან დამზადებული მთლიანი დაბეჭდილი ფიჭით ან ფიჭის ნაჭრები;

ვ) თაფლი ფიჭიანი (chunk honey or cut comb in honey) - თაფლი, ფიჭის ერთი ან რამოდენიმე ნაჭრით;

ზ) თაფლი გა(მო)წურული/დაწურული (drained honey) - თაფლი, მიღებული დაუბეჭდავი ფიჭის თვითდაწურვით;

თ) თაფლი ექსტრაგირებული (extracted honey) - თაფლი, მიღებული დაუბეჭდავი ფიჭის ცენტრიფუგირებით;

ი) თაფლი დაწნეხილი (დაპრესილი) (pressed honey) - თაფლი, მიღებული ფიჭის დაწნეხით (დაპრესვით), არაუმეტეს 450 C ტემპერატურაზე გაცხელებით ან გაცხელების გარეშე;

კ) თაფლი გაფილტრული (filtered honey) - თაფლი, რომელსაც ფილტრაციის შედეგად მოცილებული აქვს ყვავილის მტვრის მნიშვნელოვანი რაოდენობა და უცხო წარმოშობის ორგანული და არაორგანული მინარევები;

ლ) თაფლი საკონდიტრო (Baker's honey) - თაფლი, რომელსაც აქვს უცხო გემო და სუნის, ან/და ფერმენტირებულია, ან იწყებს ფერმენტაციას, ან/და გაცხელებულია, სრულად ვერ აკმაყოფილებს ნატურალური თაფლის მახასიათებლებს და შესაძლებელია გამოყენებული იქნეს სამრეწველო მიზნებისთვის ან სურსათში ინგრედიენტის სახით;

მ) თავლი მონოფლორული - თავლი, რომელსაც ფუტკარი ამზადებს მხოლოდ ერთი სახეობის მცენარის ყვავილის ნექტრისაგან;

ნ) თავლი პოლიფლორული – თავლი, რომელსაც ფუტკარი ამზადებს სხვადასხვა სახეობის მცენარის ყვავილის ნექტრისაგან;

ო) თავლი შერეული - ყვავილის (ნექტრის) თავლის და ცვარტკბილის თავლის ბუნებრივი ნარევი;

პ) დეკლარირებული სტანდარტი - სტანდარტი, რომელსაც მწარმოებელი იყენებს და რომლის გამოყენების შესახებაც მიუთითებს, მათ შორის, საწარმოს შიდა სტანდარტი.

2. ამ წესის მიზნებისათვის, ასევე, გამოიყენება სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსით და „ცხოველური წარმოშობის სურსათის ჰიგიენის სპეციალური წესის შესახებ“ (შემდგომში - სპეციალური წესი) საქართველოს მთავრობის 2012 წლის 7 მარტის №90 დადგენილებით განსაზღვრული ტერმინები, თუ ამ წესით სხვაგვარად არ არის დადგენილი.

მუხლი 5. თავლის ბაზარზე განთავსების პირობები

1. ბაზარზე განთავსებული თავლი მიღებული უნდა იქნეს ჯანმრთელი ფუტკრისგან და გამოდიოდეს ფუტკრის ინფექციური დაავადებების მხრივ კეთილსაიმედო მეურნეობიდან (რეგიონიდან).

2. ბაზარზე განთავსებული თავლი უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ უვნებლობის მაჩვენებლებს.

3. ბაზარზე განთავსებული თავლი ეტიკეტირებული უნდა იქნეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

4. ბაზარზე განთავსებული თაფლის ეტიკეტმა, აღწერილობამ და წარდგენამ შეცდომაში არ უნდა შეიყვანოს მომხმარებელი.

5. ეტიკეტზე დასახელება „თაფლი“ გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ პროდუქტთან დაკავშირებით.

6. ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „გ“, „ე“, „ვ“, „ზ“, „თ“, „ი“, „კ“, „ლ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ტერმინები გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ შესაბამის პროდუქტთან დაკავშირებით. ნებადართულია აღნიშნული ტერმინების ნაცვლად, გარდა მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ე“, „ვ“, „კ“ და „ლ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული პროდუქტებისა, ტერმინი „თაფლის“ გამოყენება.

7. ცვარტკბილის და ყვავილის (ნექტრის) თაფლის შერეული პროდუქტის ეტიკეტზე დაშვებულია, გამოყენებული იქნეს ტერმინი - „ცვარტკბილის თაფლისა და ყვავილის (ნექტრის) თაფლის ნარევი“.

8. დაშვებულია თაფლის ეტიკეტზე, გარდა გაფილტრული თაფლის და საკონდიტრო თაფლისა, აღნიშნულ იქნეს:

ა) რეგიონალური, ტერიტორიული ან ტოპოგრაფიული რაიონი, თუ ის უშუალოდ აღნიშნულ არეალშია მიღებული;

ბ) მცენარის ან მცენარეების დასახელება, თუ თაფლი სრულად ან ძირითადად მიღებულია ამ მცენარის ან მცენარეების ყვავილის ნექტრისაგან და ახასიათებს ფიზიკურ-ქიმიური, ორგანოლექტიკური და მორფოლოგიური მახასიათებლები, რომლებიც მხოლოდ ამ მცენარის ან მცენარეების ყვავილის ნექტრისაგან მიღებული თაფლისთვის არის დამახასიათებელი. ამ შემთხვევაში, მცენარის ბოტანიკური დასახელება მითითებული უნდა იქნეს უშუალოდ სიტყვა „თაფლთან“ (მაგ. „თაფლი აკაციის“, „თაფლი წაბლის“) ერთად;

გ) სპეციფიკური ხარისხობრივი მახასიათებლები.

9. საკონდიტრო თავლის ეტიკეტზე, პროდუქტის დასახელებასთან ახლოს, უნდა მიეთითოს სიტყვები: „განკუთვნილია მხოლოდ საკონდიტრო წარმოებისათვის“.

10. თუ საკონდიტრო თავლი ინგრედიენტის სახით გამოიყენება სურსათის წარმოებაში, ტერმინი „თავლი“ შეიძლება გამოყენებული იქნეს ტერმინ „საკონდიტრო თავლის“ ნაცვლად. ამ შემთხვევაში, აუცილებელია ინგრედიენტების ჩამონათვალში მითითებული იქნეს ტერმინი - „საკონდიტრო თავლი“.

11. თავლის სატრანსპორტო ტარაზე, რომელიც არ არის განკუთვნილი საცალო ვაჭრობისათვის, მარკირებაში მითითებული უნდა იქნეს პროდუქტის დასახელება, პარტიის ნომერი და იმ ბეზნესოპერატორის დასახელება და მისამართი, რომელიც ახორციელებს თავლის შეფუთვისა და დისტრიბუციას.

მუხლი 6. მოთხოვნები თავლის მიმართ

1. თავლის ძირითადი შემადგენელი ნაწილებია ნახშირწყლები - ფრუქტოზა და გლუკოზა, ორგანული და არაორგანული მჟავები, ფერმენტები, მიკროელემენტები და წყალში უხსნადი მყარი ნაწილაკები.

2. თავლის ფერი შეიძლება იცვლებოდეს უფეროდან მუქ ყავისფერ შეფერილობამდე.

3. კონსისტენციის მიხედვით, თავლი შეიძლება იყოს თხევადი, ბლანტი, სრულად ან ნაწილობრივ გამოკრისტალებული.

4. თავლის არომატი და გემო დამოკიდებულია იმ მცენარის სახეობაზე, რომლის ყვავილის ნექტრიდანაც მიღებულია თავლი.

5. დაუშვებელია:

ა) ბაზარზე განთავსებულ თავლში საკვებდანამატების და სხვა საკვები ინგრედიენტების დამატება. თავლში მინიმალურამდე უნდა იყოს დაყვანილი უცხო სუნი და გემო, რომელიც წარმოიქმნება შენახვის და გადამუშავების დროს;

ბ) თაფლიდან ყვავილის მტვრის ან სხვა შემადგენელი კომპონენტის მოცილება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მტვრის ან სხვა შემადგენელი კომპონენტის მოცილება განპირობებულია მასში მოხვედრილი უცხო არაორგანული და ორგანული ნივთიერებების მოცილების აუცილებლობით;

გ) თაფლის გაცხელება და გადამუშავება ისე, რომ შეცვლილი იქნეს მისი ძირითადი მაჩვენებლები;

დ) თაფლის მჟავიანობის ხელოვნურად შეცვლა;

ე) გამოკრისტალებული თაფლის ქიმიური და ბიოქიმიური მეთოდებით დამუშავება.

6. თაფლი არ უნდა დაექვემდებაროს ფერმენტაციასა და დუღილს. თაფლში არსებულ ბუნებრივ ფერმენტებს შენარჩუნებული უნდა ჰქონდეს ფერმენტული აქტივობა.

7. თაფლი, რომელიც განთავსებულია ბაზარზე ადამიანის მიერ სურსათად მოხმარებისათვის, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) შაქრის შემცველობა - ფრუქტოზის და გლუკოზის ჯამური (საერთო) რაოდენობა (გ/100 გ):

ა.ა) ყვავილის (ნექტრის) თაფლი - არანაკლებ 60 გ/100 გ-ში;

ა.ბ) ცვარტკბილის თაფლი, ცვარტკბილის და ყვავილის (ნექტრის) თაფლის ნარევი (შერეული თაფლი) - არანაკლებ 45 გ/100 გ-ში;

ბ) საქაროზის შემცველობა (გ/100გ):

ბ.ა) ყველა სახეობის თაფლში, გარდა ამ პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტში მითითებული მცენარეების ყვავილის ნექტრიდან მიღებული თაფლისა - საერთო რაოდენობა - არაუმეტეს 5გ/100გ-ში;

ბ.ბ) მცენარეების - ციტრუსების (*Citrus spp.*), ცრუაკაციის (*Robinia pseudoacacia*), ჩვეულებრივი იონჯის (*Medicago Sativa*), მენზის ბანკსიას (*Banksia menziesii*), ფრანგული ცხრატყავას (*French honeysuckle, Hedysarum*), ავსტრალიური ევკალიპტის -

წითელი გუმფისის (*Eucalyptus camadulensis*), ევკრიფიას (*Eucryphia lucida*, *Eucryphia milliganii*) ყვავილებიდან მიღებულ თაფლში - არაუმეტეს 10 გ/100 გ-ში;

ბ.გ) მცენარეების - ლავანდის (*Lavandula spp.*), კიტრისუნას (*Borago officinalis*) ყვავილებიდან მიღებულ თაფლში - არაუმეტეს 15 გ/100 გ-ში;

გ) სინესტის მასური წილი (%):

გ.ა) ყველა სახეობის თაფლისათვის, გარდა მცენარე მანანას თაფლისა - არაუმეტეს 20%;

გ.ბ) მცენარე მანანას (*Calluna*) თაფლისათვის - არაუმეტეს 23%;

გ.გ) საკონდიტრო თაფლი მცენარე მანანასგან - არაუმეტეს 25%;

დ) წყალში უხსნადი მყარი ნაწილაკები (გ/100გ):

დ.ა) თაფლის ყველა სახეობისათვის, გარდა დაწნეხილი თაფლისა - 0,1 გ/100 გ-ში;

დ.ბ) დაწნეხილი თაფლისათვის - 0,5/100 გ-ში;

ე) ელექტროგამტარობა (მილისიმენსი/სმ - მლს/სმ):

ე.ა) თაფლის ყველა სახეობისა და მათი ნარევისათვის, გარდა ამ მუხლის მე-7 პუნქტის „ე.ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი თაფლის სახეობისათვის - არაუმეტეს 0,8 მლს/სმ-ში;

ე.ბ) ცვარტკბილის და წაბლის ყვავილიდან მიღებული თაფლისათვის, ასევე, მათი ნარევისათვის, გარდა ამ მუხლის მე-7 პუნქტის „ე.გ“ ქვეპუნქტით დადგენილი თაფლის სახეობისათვის - არაუმეტეს 0,8 მლს/სმ;

ე.გ) თაფლი, რომელიც მიღებულია შემდეგი მცენარეების ყვავილიდან - ხემარწყვა (*Arbutus unedo*), მოლურჯო მანანა (*Erica*), ევკალიპტი (*Eucalyptus*), ცაცხვი (*Tilia spp.*), ჩვეულებრივი მანანა (*Calluna vulgaris*), მანუკა ანუ ჩაის ხე (*Melaleuca spp.*);

ვ) საერთო მჟავიანობა:

ვ.ა) თაფლის ყველა სახეობისათვის - არა უმეტეს 50 მილიეკვივალენტი მჟავისა, ყოველ 1000 გ თაფლში;

ვ.ბ) საკონდიტრო თაფლისათვის - არა უმეტეს 80 მილიეკვივალენტი მჟავისა, ყოველ 1000 გ თაფლში;

ზ) დიასტაზური (ამილაზური) აქტივობა და ჰიდროქსილმეთილფურფურალი (ჰმფ), რომლის განსაზღვრა ხდება თაფლის დამუშავებისა და შერევის შემდეგ:

ზ.ა) დიასტაზური (ამილოლიზური) აქტივობა (შადეს შკალის მიხედვით):

ზ.ა.ა) ყველა სახეობის თაფლისათვის, გარდა საკონდიტრო თაფლისა - არანაკლებ 8;

ზ.ა.ბ) თაფლისათვის, რომელიც ბუნებრივი ფერმენტების ნაკლებ რაოდენობას შეიცავს (მაგ. ციტრუსის თაფლი) და მასში ჰიდროქსილმეთილფურფურალის (ჰმფ) შემცველობა არ აღემატება 15 მგ/კგ - არანაკლებ 3;

ზ.ბ) ჰიდროქსილმეთილფურფურალი (ჰმფ) (მგ/კგ):



ზ.ბ.ა) ყველა სახეობის თაფლისათვის, გარდა საკონდიტრო თაფლისა - არა უმეტეს 40 მგ/კგ („ზ.ა.ბ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით);

ზ.ბ.ბ) თაფლი, რომელიც წარმოშობილია ტროპიკული კლიმატის ზონიდან და მათი ნარევისათვის - არაუმეტეს 80 მგ/კგ.

თაფლში მტვრის მარცვლების იდენტიფიკაცია


თაფლი 2018 წლის მოსავალი - ქედა, სოფ. პირველი მაისი

თაფლი პოლიფლორული - იდენტიფიცირებულია წაბლის (58,5%), აკაციის (27%), ვარდისებრთა ოჯახისათვის (12%) (ტყემალი, მსხალი, ასკილი, ვაშლი, ბალი) დამახასიათებელი მტვრის მარცვლები, ასევე შეინიშნება იელისა და შქერის მტვრის მარცვლები (2,5 %).





თაფლი 2018 წლის მოსავალი - ოზურგეთი, სოფ. ასკანა

თაფლი პოლიფლორული - იდენტიფიცირებულია ვარდისებრთა ოჯახის (ტყემალი, მსხალი, ვაშლი) (47%), აკაციისა (32%) და წაბლის (21%) ყვავილის მტვრის მარცვლები.






თაფლი 2018 წლის მოსავალი - წყალტუბო, სოფ. ფარცხანაყანები, წყალსადენის
ნაკრძალი

თაფლი პოლიფლორული - იდენტიფიცირებულია ვარდისებრთა ოჯახის (ტყემალი, მსხალი, ვაშლი) (50%), აკაციისა (40%) და წაბლის (10%) ყვავილის მტვრის მარცვლები.






თაფლი 2018 წლის მოსავალი - თერჯოლა, სოფ. სიმონეთი

თაფლი პოლიფლორული - იდენტიფიცირებულია აკაციის (48%), ვარდისებრთა ოჯახის (ტყემალი, მსხალი, ვაშლი) (22%), წაბლისა (26%) და იელის (4%) ყვავილის მტვრის მარცვლები.





თაფლი 2018 წლის მოსავალი - ბაღდათი, სოფ. ალისმერეთი

თაფლი მონოფლორული - იდენტიფიცირებულია წაბლისა (95%) და ცაცხვის (5%) ყვავილის მტვრის მარცვლები.





თაფლი 2018 წლის მოსავალი - წყალტუბო, სოფ. ყუმისთავი

თაფლი მონოფლორული - იდენტიფიცირებულია აკაციისა (90%) და ვარდისებრთა ოჯახის (10%) ყვავილის მტვრის მარცვლები.





თაფლი 2018 წლის მოსავალი - წყალტუბო, სოფ. ყუმისთავი

თაფლი პოლიფლორული - იდენტიფიცირებულია აკაციისა (48%) და ვარდისებრთა ოჯახის (52%) ყვავილის მტვრის მარცვლები.





თაფლი 2018 წლის მოსავალი - ოზურგეთი, სოფ. ვაკიჯვარი

თაფლი პოლიფლორული - იდენტიფიცირებულია წაბლისა (80%) და ცაცხვის (20%) ყვავილის მტვრის მარცვლები.





თაფლი 2018 წლის მოსავალი - ოზურგეთი, სოფ. ვაკიჯვარი

თაფლი პოლიფლორული - იდენტიფიცირებულია აკაციის (70%), ვარდისებრთა ოჯახისა (20 %) და იელის (10%) ყვავილის მტვრის მარცვლები.





თაფლი 2018 წლის მოსავალი - ბაღდათი, სოფ. ბაღდათი

თაფლი პოლიფლორული - იდენტიფიცირებულია ვარდისებრთა ოჯახისა (60 %) და აკაციის (40%) ყვავილის მტვრის მარცვლები.





თაფლი 2018 წლის მოსავალი - აბაშა, სოფ. პირველი მისი

თაფლი პოლიფლორული - იდენტიფიცირებულია აკაციის (62%), ვარდისებრთა ოჯახისა (35 %) და სხვა ყვავილის მტვრის მარცვლები.





თაფლი 2018 წლის მოსავალი - წყალტუბო, სოფ. ნამახვარი

თაფლი პოლიფლორული - იდენტიფიცირებულია წაბლის (78 %), ცაცხვისა (19 %) და ვარდისებრთა ოჯახის (მაყვალი) (3 %) ყვავილის მტვრის მარცვლები.





თაფლი 2018 წლის მოსავალი - აბაშა, სოფ. პირველი მისი

თაფლი პოლიფლორული - იდენტიფიცირებულია აკაციის (60%), ვარდისებრთა (38,5%) ოჯახისა და კაკლის (1,5%) ყვავილის მტვრის მარცვლები.





თაფლი 2018 წლის მოსავალი - ხელვაჩაური, სოფ. ახალშენი

თაფლი მონოფლორული - იდენტიფიცირებულია აკაციისა (95%) და კაკლის (5%) ყვავილის მტვრის მარცვლები.





თაფლი 2018 წლის მოსავალი - ოზურგეთი, სოფ. მთისპირი

თაფლი პოლიფლორული - იდენტიფიცირებულია ვარდისებრთა ოჯახისა (62%) და აკაციის (38%) ყვავილის მტვრის მარცვლები.







თაფლი 2018 წლის მოსავალი ოზურგეთი, სოფ. მთისპირი

თაფლი პოლიფლორული - იდენტიფიცირებულია წაბლის (52%), ცაცხვისა (38 %) და ვარდისებრთა ოჯახის (10 %) ყვავილის მტვრის მარცვლები.






თაფლი 2018 წლის მოსავალი ოზურგეთი, სოფ. მთისპირი

თაფლი მონოფლორული - იდენტიფიცირებულია წაბლისა (96 %) და სხვა ყვავილის მტვრის მარცვლები.






თაფლი 2018 წლის მოსავალი - ოზურგეთი, სოფ. ჯუმათი

თაფლი პოლიფლორული - იდენტიფიცირებულია აკაციის (26,5 %), ვარდისებრთა ოჯახისა (15,6 %) და წაბლის (54 %) ყვავილის მტვრის მარცვლები.






თაფლი 2018 წლის მოსავალი - აბაშა, სოფ. ნორიო

თაფლი პოლიფლორული - იდენტიფიცირებულია აკაციის (57%), ვარდისებრთა ოჯახისა (39) და სხვა ყვავილის მტვრის მარცვლები.







თაფლი 2018 წლის მოსავალი - აბაშა, სოფ. ნორიო

თაფლი პოლიფლორული - იდენტიფიცირებულია აკაცის (65%), ვარდისებრთა ოჯახისა (35%) და სხვა ყვავილის მტვრის მარცვლები.









თაფლი, 2018 წლის მოსავალი - ოზურგეთი, სოფ. ნარუჯა

თაფლი პოლიფლორული - იდენტიფიცირებულია აკაციის (54%), ცაცხვის (14 %),
ვარდისებრთა ოჯახისა (31%) და სხვა ყვავილის მტვრის მარცვლები.







თაფლი, 2018 წლის მოსავალი - ქედა, სოფ. ორცვა

თაფლი პოლიფლორული - იდენტიფიცირებულია ვარდისებრთა ოჯახის (65%),
აკაციისა (44%) და და სხვა ყვავილის მტვრის მარცვლები.






ჯარას თაფლი, 2018 წლის მოსავალი - მტირალას მთა

თაფლი პოლიფლორული - იდენტიფიცირებულია წაბლის (73,8%), აკაციის (23,46%), ცაცხვიც (1,02%), როდოდენდრონისა (1,04 %) და სხვა ყვავილის მტვრის მარცვლები.







ჯარას თაფლი, 2018 წლის მოსავალი - ხულო, სოფ. გობაძეები

თაფლი პოლიფლორული - იდენტიფიცირებულია წაბლის (53,28%), აკაციის (33,5%), ცაცხვის (0,77%), ქოლგოსნების (8,1%), როდოდენდრონის (2,44%), ბაბუაწვერასა (0,64 %) და სხვა ყვავილის მტვრის მარცვლები.







ჯარას თაფლი, 2018 წლის მოსავალი - შუახევი, სოფ. კარაპეტი

თაფლი პოლიფლორული - იდენტიფიცირებულია წაბლის (90%), ქოლგოსნების (1,17%), როდოდენდრონის (2,44%), ბაბუაწვერასა (0,61 %) და სხვა ყვავილის მტვრის მარცვლები.







ჯარას თაფლი, 2018 წლის მოსავალი - შუახევი, სოფ. მახალაკიძეები

თაფლი პოლიფლორული - იდენტიფიცირებულია წაბლის (63,47%), ქოლგოსნების (26,76%), როდოდენდრონისა (4,88%) და სხვა ყვავილის მტვრის მარცვლები.







ჯარას თაფლი, 2018 წლის მოსავალი - ქედა, სოფ. ჭალათი

თაფლი პოლიფლორული - იდენტიფიცირებულია წაბლის (62,42%), აკაციის (12,74%), როდოდენდრონის (4,45%), ტყის სამყურასა (14,03%) და სხვა ყვავილის მტვრის მარცვლები.







ჯარას თაფლი, 2018 წლის მოსავალი - ქედა, სოფ. ნამონასტრევი

თაფლი პოლიფლორული - იდენტიფიცირებულია წაბლის (94,25%), აკაციის (2,2%), ქოლგოსნების (0,87%), ცაცხვის (0,19%), ტყის სამყურასა (1,72%) და სხვა ყვავილის მტვრის მარცვლები.







ჯარას თაფლი, 2018 წლის მოსავალი - ქედა, სოფ. სილიბაური

თაფლი პოლიფლორული - იდენტიფიცირებულია წაბლის (73,36%), აკაციის (2,18%), ქოლგოსნების (1,59%), ტყის სამყურას (8,13%), ვარდისებრთა ოჯახის (10,98%), როდოდენდრონის (2,93%), ოქროწყებლასა (0,33%) და სხვა ყვავილის მტვრის მარცვლები.







ჯარას თაფლი, 2018 წლის მოსავალი - ქედა, სოფ. დვალბეები

თაფლი პოლიფლორული - იდენტიფიცირებულია წაბლის (95,89 %), აკაციის (1,73%),
ოქროწყებლას (1,19%), კაკლისა (0,5%) და სხვა ყვავილის მტვრის მარცვლები.






ჯარას თაფლი, 2018 წლის მოსავალი - ქედა, სოფ. დვალიძეები

თაფლი პოლიფლორული - იდენტიფიცირებულია წაბლის (38,28 %), ვარდისებრთა ოჯახის (28,77%), ტყის სამყურას (25,52%), ქოლგოსნების (2,55%), როდოდენდრონისა (3,01%) და სხვა ყვავილის მტვრის მარცვლები.






ჯარას თაფლი, 2018 წლის მოსავალი - ხულო, სოფ. ფუშრუკაული

თაფლი პოლიფლორული - იდენტიფიცირებულია წაბლის (81,47 %), აკაციის (9,65%), ქოლგოსნების (4,62%), ტყის სამყურას (0,67%), ბაბუაწვერასა (0,43%) და სხვა ყვავილის მტვრის მარცვლები.



ჯარას თაფლი, 2018 წლის მოსავალი - ხულო, სოფ. დანისპარაული

თაფლი პოლიფლორული - იდენტიფიცირებულია წაბლის (46,19 %), აკაციის (20,8%), ცაცხვის (8,25%), ვარდისებრთა ოჯახის (7,53%), როდოდენდრონის (4,06%), ტყის სამყურას (9,13%), ჟოლოს (9,13%), კაკლის (1,03%) და სხვა ყვავილის მტვრის მარცვლები.



ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საგრანტო ხელშეკრულება № 216816

კვლევის ოქმი

თარიღი: 2016

პროდუქტი: თაფლი წაბლის - აჭარა, ქედის რაიონი, სოფ. სიმონეთი

დასახელება	მეთოდი The International Honey Commission	ზღვრული რაოდენობა	შედეგი	შენიშვნა
ფერი	ორგანოლექტიკური		მუქი	
გემო	ორგანოლექტიკური		მომწარო - მოტკბო	
არომატი	ორგანოლექტიკური		წაბლის ყვავილი	
ნახშირწყლებისჯამური (საერთო) რაოდენობა, გ/100 გ-ში	რეფრაქტომეტრია			
ყვავილის (ნექტარის) თაფლი		>60	81,0	
საქაროზის შემცველობა (გ/100გ)				
ზოგადად	HPLC	<5	<5	
წყლის მასური წილი (%)				
ყველა სახეობის თაფლისათვის	რეფრაქტომეტრია	<20	19,0	
წყალში უხსნადი მყარი ნაწილაკები (გ/100გ)				
თაფლის ყველა სახეობისათვის, გარდა დაწნეხილი თაფლისა	გრავიმეტრია	<0,1	0.08	
ელექტროგამტარობა (მილისიმენსი/სმ - მლს/სმ)				
თაფლის ყველა სახეობისათვის და მათი ნარევისათვის	კონდუქტომეტრია	<0,8	1,3876	
თავისუფალი მჟავიანობა, მილიექვ./100გ				
თაფლის ყველა სახეობისათვის		<50	37	
pH	pH-მეტრია		4,5	
დიასტაზური (ამილოლიზური) აქტივობა (შადეს შკალის მიხედვით)				
ყველა სახეობის თაფლისათვის, გარდა საკონდიტრო თაფლისა	სპექტრალური	>8	18	
საერთო ფენოლები, მგ/კგ	ფოლინ- სიოქალთაუ		408,8	
ანტიოქსიდანტური აქტიურობა 0,1 mM DPPH 50 % ინჰიბირება	სპექტრალური	%	52,5	
ნაცარი, %	გრავიმეტრია		2,05	

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საგრანტო ხელშეკრულება № 216816

კვლევის ოქმი

თარიღი: **2016**

პროდუქტი: **თაფლი წაბლის - გურია, სოფ. ნატანები**

დასახელება	მეთოდი The International Honey Commission	ზღვრული რაოდენობა	შედეგი	შენიშვნა
ფერი	ორგანოლეპტიკური		მუქი	
გემო	ორგანოლეპტიკური		მომწარო - მოტკბო	
არომატი	ორგანოლეპტიკური		წაბლის ყვავილი	
ნახშირწყლებისჯამური (საერთო) რაოდენობა, გ/100 გ-ში	რეფრაქტომეტრია			
ყვავილის (ნექტარის) თაფლი		>60	78.9	
საქაროზის შემცველობა (გ/100გ)				
ზოგადად	HPLC	<5	<5	
წყლის მასური წილი (%)				
ყველა სახეობის თაფლისათვის	რეფრაქტომეტრია	<20	21,1	
წყალში უხსნადი მყარი ნაწილაკები (გ/100გ)				
თაფლის ყველა სახეობისათვის, გარდა დაწნეხილი თაფლისა	გრავიმეტრია	<0,1	0,091	
ელექტროგამტარობა (მილისიმენსი/სმ - მლს/სმ)				
თაფლის ყველა სახეობისათვის და მათი ნარევისათვის	კონდუქტომეტრია	<0,8	1,476	
თავისუფალი მჟავიანობა, მილიექვ./100გ				
თაფლის ყველა სახეობისათვის		<50	34	
pH	pH-მეტრია		4.437	
დიასტაზური (ამილოლიზური) აქტივობა (შადესშკალისმიხედვით)				
ყველა სახეობის თაფლისათვის, გარდა საკონდიტრო თაფლისა	სპექტრალური	>8	>8	
საერთო ფენოლები, მგ/კგ	ფოლინ- სიოქალთაუ		415,8	
ანტიოქსიდანტური აქტიურობა 0,1 mM DPPH 50 % ინჰიბირება	სპექტრალური	%	53,30	
ნაცარი, %	გრავიმეტრია		1,27	

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საგრანტო ხელშეკრულება № 216816

კვლევის ოქმი

თარიღი: **2016**

პროდუქტი: **თაფლი წაბლის - აჭარა, ქობულეთის რაიონი, სოფ. კვირიკე**

დასახელება	მეთოდი The International Honey Commission	ზღვრულ ო რაოდენო ბა	შედეგი	შენიშვნა
ფერი	ორგანოლექტიკური		მუქი	
გემო	ორგანოლექტიკური		მომწარ ო - მოტკბ ო	
არომატი	ორგანოლექტიკური		წაბლის ყვავილ ი	
ნახშირწყლებისჯამური (საერთო) რაოდენობა, გ/100 გ-ში	რეფრაქტომეტრია			
ყვავილის (ნექტარის) თაფლი		>60	77.3	
საქაროზის შემცველობა (გ/100გ)				
ზოგადად	HPLC	<5	<5	
წყლის მასური წილი (%)				
ყველა სახეობის თაფლისათვის	რეფრაქტომეტრია	<20	22,7	
წყალში უხსნადი მყარი ნაწილაკები (გ/100გ)				
თაფლის ყველა სახეობისათვის, გარდა დაწნეხილი თაფლისა	გრავიმეტრია	<0,1	0,078	
ელექტროგამტარობა (მილისიმენსი/სმ - მლს/სმ)				
თაფლის ყველა სახეობისათვის და მათი ნარევისათვის	კონდუქტომეტრია	<0,8	1,370	
თავისუფალი მჟავიანობა, მილიექვ./100გ				
თაფლის ყველა სახეობისათვის		<50	22	
pH	pH-მეტრია		4.78	
დიასტაზური (ამილოლიზური) აქტივობა (შადესშკალისმიხედვით)				
ყველა სახეობის თაფლისათვის, გარდა საკონდიტრო თაფლისა	სპექტრალური	>8	>8	
საერთო ფენოლები, მგ/კგ	ფოლინ- სიოქალთაუ		469,26	
ანტიოქსიდანტური აქტიურობა 0,1 mM DPPH 50 % ინჰიბირება	სპექტრალური	%	63,62	
ნაცარი, %	გრავიმეტრია		1,3	

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საგრანტო ხელშეკრულება № 216816

კვლევის ოქმი

თარიღი: **2016**

პროდუქტი: **თაფლი წაბლის - აჭარა, ხელვაჩაურის რაიონი, სოფ. თხილნარი**

დასახელება	მეთოდი The International Honey Commission	ზღვრული რაოდენობა	შედეგი	შენიშვნა
ფერი	ორგანოლექტიკური		მუქი	
გემო	ორგანოლექტიკური		მომწარო - მოტკბო	
არომატი	ორგანოლექტიკური		წაბლის ყვავილი	
ნახშირწყლებისჯამური (საერთო) რაოდენობა, გ/100 გ-ში	რეფრაქტომეტრია			
ყვავილის (ნექტარის) თაფლი		>60	79.7	
საქაროზის შემცველობა (გ/100გ)				
ზოგადად	HPLC	<5	<5	
წყლის მასური წილი (%)				
ყველა სახეობის თაფლისათვის	რეფრაქტომეტრია	<20	20,3	
წყალში უხსნადი მყარი ნაწილაკები (გ/100გ)				
თაფლის ყველა სახეობისათვის, გარდა დაწნეხილი თაფლისა	გრავიმეტრია	<0,1	0,085	
ელექტროგამტარობა (მილისიმენსი/სმ - მლს/სმ)				
თაფლის ყველა სახეობისათვის და მათი ნარევისათვის	კონდუქტომეტრია	<0,8	1,645	
თავისუფალი მჟავიანობა, მილიექვ./100გ				
თაფლის ყველა სახეობისათვის		<50	24	
pH	pH-მეტრია		4.696	
დიასტაზური (ამილოლიზური) აქტივობა (შადესშკალისმიხედვით)				
ყველა სახეობის თაფლისათვის, გარდა საკონდიტრო თაფლისა	სპექტრალური	>8	>8	
საერთო ფენოლები, მგ/კგ	ფოლინ- სიოქალთაუ		491,70	
ანტიოქსიდანტური აქტიურობა 0,1 mM DPPH 50 % ინჰიბირება	სპექტრალური	%	61,06	
ნაცარი, %	გრავიმეტრია		0,96	

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საგრანტო ხელშეკრულება № 216816

კვლევის ოქმი

თარიღი: **2016**

პროდუქტი: **თაფლი წაბლის - სამეგრელო, ხობის რაიონი**

დასახელება	მეთოდი The International Honey Commission	ზღვრული რაოდენობა	შედეგი	შენიშვნა
ფერი	ორგანოლექტიკური		მუქი	
გემო	ორგანოლექტიკური		მომწარო - მოტკბო	
არომატი	ორგანოლექტიკური		წაბლის ყვავილი	
ნახშირწყლებისჯამური (საერთო) რაოდენობა, გ/100 გ-ში	რეფრაქტომეტრია			
ყვავილის (ნექტარის) თაფლი		>60	81.4	
საქაროზის შემცველობა (გ/100გ)				
ზოგადად	HPLC	<5	<5	
წყლის მასური წილი (%)				
ყველა სახეობის თაფლისათვის	რეფრაქტომეტრია	<20	18,6	
წყალში უხსნადი მყარი ნაწილაკები (გ/100გ)				
თაფლის ყველა სახეობისათვის, გარდა დაწნეხილი თაფლისა	გრავიმეტრია	<0,1	0,092	
ელექტროგამტარობა (მილისიმენსი/სმ - მლს/სმ)				
თაფლის ყველა სახეობისათვის და მათი ნარევისათვის	კონდუქტომეტრია	<0,8	1,498	
თავისუფალი მჟავიანობა, მილიექვ./100გ				
თაფლის ყველა სახეობისათვის		<50	36	
pH	pH-მეტრია		4.68	
დიასტაზური (ამილოლიზური) აქტივობა (შადესშკალისმიხედვით)				
ყველა სახეობის თაფლისათვის, გარდა საკონდიტრო თაფლისა	სპექტრალური	>8	>8	
საერთო ფენოლები, მგ/კგ	ფოლინ- სიოქალთაუ		465,69	
ანტიოქსიდანტური აქტიურობა 0,1 mM DPPH 50 % ინჰიბირება	სპექტრალური	%	61,91	
ნაცარი, %	გრავიმეტრია		1,12	

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საგრანტო ხელშეკრულება № 216816

კვლევის ოქმი

თარიღი: **2016**

პროდუქტი: **თაფლი წაბლის - გურია, ოზურგეთის რაიონი**

დასახელება	მეთოდი The International Honey Commission	ზღვრული რაოდენობა	შედეგი	შენიშვნა
ფერი	ორგანოლექტიკური		მუქი	
გემო	ორგანოლექტიკური		მომწარო - მოტკბო	
არომატი	ორგანოლექტიკური		წაბლის ყვავილი	
ნახშირწყლებისჯამური (საერთო) რაოდენობა, გ/100 გ-ში	რეფრაქტომეტრია			
ყვავილის (ნექტარის) თაფლი		>60	82,2	
საქაროზის შემცველობა (გ/100გ)				
ზოგადად	HPLC	<5	<5	
წყლის მასური წილი (%)				
ყველა სახეობის თაფლისათვის	რეფრაქტომეტრია	<20	17,8	
წყალში უხსნადი მყარი ნაწილაკები (გ/100გ)				
თაფლის ყველა სახეობისათვის, გარდა დაწნეხილი თაფლისა	გრავიმეტრია	<0,1	0,078	
ელექტროგამტარობა (მილისიმენსი/სმ - მლს/სმ)				
თაფლის ყველა სახეობისათვის და მათი ნარევისათვის	კონდუქტომეტრია	<0,8	1,34	
თავისუფალი მჟავიანობა, მილიექვ./100გ				
თაფლის ყველა სახეობისათვის		<50	40	
pH	pH-მეტრია		4.5	
დიასტაზური (ამილოლიზური) აქტივობა (შადესშკალისმიხედვით)				
ყველა სახეობის თაფლისათვის, გარდა საკონდიტრო თაფლისა	სპექტრალური	>8	8,5	
საერთო ფენოლები, მგ/კგ	ფოლინ- სიოქალთაუ		444,18	
ანტიოქსიდანტური აქტიურობა 0,1 mM DPPH 50 % ინჰიბირება	სპექტრალური	%	61,13	
ნაცარი, %	გრავიმეტრია		1,02	

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საგრანტო ხელშეკრულება № 216816

კვლევის ოქმი

თარიღი: **2016**

პროდუქტი: **თაფლი წაბლის - აჭარა, ქობულეთის რაიონი, სოფ. ქაქუთი**

დასახელება	მეთოდი The International Honey Commission	ზღვრული რაოდენობა	შედეგი	შენიშვნა
ფერი	ორგანოლექტიკური		მუქი	
გემო	ორგანოლექტიკური		მომწარო - მოტკბო	
არომატი	ორგანოლექტიკური		წაბლის ყვავილი	
ნახშირწყლებისჯამური (საერთო) რაოდენობა, გ/100 გ-ში	რეფრაქტომეტრია			
ყვავილის (ნექტარის) თაფლი		>60	79.3	
საქაროზის შემცველობა (გ/100გ)				
ზოგადად	HPLC	<5	<5	
წყლის მასური წილი (%)				
ყველა სახეობის თაფლისათვის	რეფრაქტომეტრია	<20	20,7	
წყალში უხსნადი მყარი ნაწილაკები (გ/100გ)				
თაფლის ყველა სახეობისათვის, გარდა დაწნეხილი თაფლისა	გრავიმეტრია	<0,1	0,069	
ელექტროგამტარობა (მილისიმენსი/სმ - მლს/სმ)				
თაფლის ყველა სახეობისათვის და მათი ნარევისათვის	კონდუქტომეტრია	<0,8	1,413	
თავისუფალი მჟავიანობა, მილიექვ./100გ				
თაფლის ყველა სახეობისათვის		<50	34	
pH	pH-მეტრია		4.51	
დიასტაზური (ამილოლიზური) აქტივობა (შადესშკალისმიხედვით)				
ყველა სახეობის თაფლისათვის, გარდა საკონდიტრო თაფლისა	სპექტრალური	>8	12	
საერთო ფენოლები, მგ/კგ	ფოლინ- სიოქალთაუ		439,56	
ანტიოქსიდანტური აქტიურობა 0,1 mM DPPH 50 % ინჰიბირება	სპექტრალური	%	62,06	
ნაცარი, %	გრავიმეტრია		2,03	

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საგრანტო ხელშეკრულება № 216816

კვლევის ოქმი

თარიღი: **2016**

პროდუქტი: **თაფლი წაბლის - გურია, ოზურგეთის რაიონი**

დასახელება	მეთოდი The International Honey Commission	ზღვრული რაოდენობა	შედეგი	შენიშვნა
ფერი	ორგანოლეპტიკური		მუქი	
გემო	ორგანოლეპტიკური		მომწარო - მოტკბო	
არომატი	ორგანოლეპტიკური		წაბლის ყვავილი	
ნახშირწყლებისჯამური (საერთო) რაოდენობა, გ/100 გ-ში	რეფრაქტომეტრია			
ყვავილის (ნექტარის) თაფლი		>60	83,0	
საქაროზის შემცველობა (გ/100გ)				
ზოგადად	HPLC	<5	<5	
წყლის მასური წილი (%)				
ყველა სახეობის თაფლისათვის	რეფრაქტომეტრია	<20	17,0	
წყალში უხსნადი მყარი ნაწილაკები (გ/100გ)				
თაფლის ყველა სახეობისათვის, გარდა დაწნეხილი თაფლისა	გრავიმეტრია	<0,1	0,88	
ელექტროგამტარობა (მილისიმენსი/სმ - მლს/სმ)				
თაფლის ყველა სახეობისათვის და მათი ნარევისათვის	კონდუქტომეტრია	<0,8	1,560	
თავისუფალი მჟავიანობა, მილიექვ./100გ				
თაფლის ყველა სახეობისათვის		<50	44	
pH	pH-მეტრია		4.761	
დიასტაზური (ამილოლიზური) აქტივობა (შადესშკალისმიხედვით)				
ყველა სახეობის თაფლისათვის, გარდა საკონდიტრო თაფლისა	სპექტრალური	>8	8,2	
საერთო ფენოლები, მგ/კგ	ფოლინ- სიოქალთაუ		495,66	
ანტიოქსიდანტური აქტიურობა 0,1 mM DPPH 50 % ინჰიბირება	სპექტრალური	%	67,03	
ნაცარი, %	გრავიმეტრია		1,88	

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საგრანტო ხელშეკრულება № 216816

კვლევის ოქმი

თარიღი: **2016**

პროდუქტი: **თაფლი წაბლის - აჭარა, ქობულეთის რაიონი, სოფ. ზედა სამება**

დასახელება	მეთოდი The International Honey Commission	ზღვრული რაოდენობა	შედეგი	შენიშვნა
ფერი	ორგანოლექტიკური		მუქი	
გემო	ორგანოლექტიკური		მომწარო - მოტკბო	
არომატი	ორგანოლექტიკური		წაბლის ყვავილი	
ნახშირწყლებისჯამური (საერთო) რაოდენობა, გ/100 გ-ში	რეფრაქტომეტრია			
ყვავილის (ნექტარის) თაფლი		>60	76.6	
საქაროზის შემცველობა (გ/100გ)				
ზოგადად	HPLC	<5	<5	
წყლის მასური წილი (%)				
ყველა სახეობის თაფლისათვის	რეფრაქტომეტრია	<20	23,4	
წყალში უხსნადი მყარი ნაწილაკები (გ/100გ)				
თაფლის ყველა სახეობისათვის, გარდა დაწნეხილი თაფლისა	გრავიმეტრია	<0,1	0,091	
ელექტროგამტარობა (მილისიმენსი/სმ - მლს/სმ)				
თაფლის ყველა სახეობისათვის და მათი ნარევისათვის	კონდუქტომეტრია	<0,8	1,413	
თავისუფალი მჟავიანობა, მილიექვ./100გ				
თაფლის ყველა სახეობისათვის		<50	40	
pH	pH-მეტრია		4.63	
დიასტაზური (ამილოლიზური) აქტივობა (შადესშკალისმიხედვით)				
ყველა სახეობის თაფლისათვის, გარდა საკონდიტრო თაფლისა	სპექტრალური	>8	>8	
საერთო ფენოლები, მგ/კგ	ფოლინ- სიოქალთაუ		361,02	
ანტიოქსიდანტური აქტიურობა 0,1 mM DPPH 50 % ინჰიბირება	სპექტრალური	%	47,09	
ნაცარი, %	გრავიმეტრია		0,98	

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საგრანტო ხელშეკრულება № 216816

კვლევის ოქმი

თარიღი: 2016

პროდუქტი: თაფლი წაბლის - აჭარა, ქედის რაიონი, სოფ. ტაკიძეები

დასახელება	მეთოდი The International Honey Commission	ზღვრული რაოდენობა	შედეგი	შენიშვნა
ფერი	ორგანოლექტიკური		მუქი	
გემო	ორგანოლექტიკური		მომწარო - მოტკბო	
არომატი	ორგანოლექტიკური		წაბლის ყვავილი	
ნახშირწყლებისჯამური (საერთო) რაოდენობა, გ/100 გ-ში	რეფრაქტომეტრია			
ყვავილის (ნექტარის) თაფლი		>60	78.7	
საქაროზის შემცველობა (გ/100გ)				
ზოგადად	HPLC	<5	<5	
წყლის მასური წილი (%)				
ყველა სახეობის თაფლისათვის	რეფრაქტომეტრია	<20	21,3	
წყალში უხსნადი მყარი ნაწილაკები (გ/100გ)				
თაფლის ყველა სახეობისათვის, გარდა დაწნეხილი თაფლისა	გრავიმეტრია	<0,1	0,077	
ელექტროგამტარობა (მილისიმენსი/სმ - მლს/სმ)				
თაფლის ყველა სახეობისათვის და მათი ნარევისათვის	კონდუქტომეტრია	<0,8	1,114	
თავისუფალი მჟავიანობა, მილიექვ./100გ				
თაფლის ყველა სახეობისათვის		<50	24	
pH	pH-მეტრია		4.54	
დიასტაზური (ამილოლიზური) აქტივობა (შადესშკალისმიხედვით)				
ყველა სახეობის თაფლისათვის, გარდა საკონდიტრო თაფლისა	სპექტრალური	>8	>8	
საერთო ფენოლები, მგ/კგ	ფოლინ- სიოქალთაუ		358,38	
ანტიოქსიდანტური აქტიურობა 0,1 mM DPPH 50 % ინჰიბირება	სპექტრალური	%	61,91	
ნაცარი, %	გრავიმეტრია		1,67	

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საგრანტო ხელშეკრულება № 216816

კვლევის ოქმი

თარიღი: **2016**

პროდუქტი: **თაფლი წაბლის - ქუთაისი**

დასახელება	მეთოდი The International Honey Commission	ზღვრული რაოდენობა	შედეგი	შენიშვნა
ფერი	ორგანოლექტიკური		მუქი	
გემო	ორგანოლექტიკური		მომწარო - მოტკბო	
არომატი	ორგანოლექტიკური		წაბლის ყვავილი	
ნახშირწყლებისჯამური (საერთო) რაოდენობა, გ/100 გ-ში	რეფრაქტომეტრია			
ყვავილის (ნექტარის) თაფლი		>60	77.1	
საქაროზის შემცველობა (გ/100გ)				
ზოგადად	HPLC	<5	<5	
წყლის მასური წილი (%)				
ყველა სახეობის თაფლისათვის	რეფრაქტომეტრია	<20	22,9	
წყალში უხსნადი მყარი ნაწილაკები (გ/100გ)				
თაფლის ყველა სახეობისათვის, გარდა დაწნეხილი თაფლისა	გრავიმეტრია	<0,1	0,082	
ელექტროგამტარობა (მილისიმენსი/სმ - მლს/სმ)				
თაფლის ყველა სახეობისათვის და მათი ნარევისათვის	კონდუქტომეტრია	<0,8	1,581	
თავისუფალი მჟავიანობა, მილიექვ./100გ				
თაფლის ყველა სახეობისათვის		<50	14	
pH	pH-მეტრია		5,27	
დიასტაზური (ამილოლიზური) აქტივობა (შადესშკალისმიხედვით)				
ყველა სახეობის თაფლისათვის, გარდა საკონდიტრო თაფლისა	სპექტრალური	>8	>8	
საერთო ფენოლები, მგ/კგ	ფოლინ- სიოქალთაუ		401,94	
ანტიოქსიდანტური აქტიურობა 0,1 mM DPPH 50 % ინჰიბირება	სპექტრალური	%	59,12	
ნაცარი, %	გრავიმეტრია		1,27	

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საგრანტო ხელშეკრულება № 216816

კვლევის ოქმი

თარიღი: 2016

პროდუქტი: თაფლი წაბლის - გურია, ჩოხატაურის რაიონი, საჭამიასერი

დასახელება	მეთოდი The International Honey Commission	ზღვრული რაოდენობა	შედეგი	შენიშვნა
ფერი	ორგანოლექტიკური		მუქი	
გემო	ორგანოლექტიკური		მომწარო - მოტკბო	
არომატი	ორგანოლექტიკური		წაბლის ყვავილი	
ნახშირწყლებისჯამური (საერთო) რაოდენობა, გ/100 გ-ში	რეფრაქტომეტრია			
ყვავილის (ნექტარის) თაფლი		>60	79.1	
საქაროზის შემცველობა (გ/100გ)				
ზოგადად	HPLC	<5	<5	
წყლის მასური წილი (%)				
ყველა სახეობის თაფლისათვის	რეფრაქტომეტრია	<20	20,9	
წყალში უხსნადი მყარი ნაწილაკები (გ/100გ)				
თაფლის ყველა სახეობისათვის, გარდა დაწნეხილი თაფლისა	გრავიმეტრია	<0,1	0,069	
ელექტროგამტარობა (მილისიმენსი/სმ - მლს/სმ)				
თაფლის ყველა სახეობისათვის და მათი ნარევისათვის	კონდუქტომეტრია	<0,8	1,708	
თავისუფალი მჟავიანობა, მილიექვ./100გ				
თაფლის ყველა სახეობისათვის		<50	31	
pH	pH-მეტრია		4.660	
დიასტაზური (ამილოლიზური) აქტივობა (შადესშკალისმიხედვით)				
ყველა სახეობის თაფლისათვის, გარდა საკონდიტრო თაფლისა	სპექტრალური	>8	11,0	
საერთო ფენოლები, მგ/კგ	ფოლინ- სიოქალთაუ		453,42	
ანტიოქსიდანტური აქტიურობა 0,1 mM DPPH 50 % ინჰიბირება	სპექტრალური	%	64,47	
ნაცარი, %	გრავიმეტრია		0,89	

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საგრანტო ხელშეკრულება № 216816

კვლევის ოქმი

თარიღი: 2016

პროდუქტი: თაფლი წაბლის - აჭარა, ქედის რაიონი, სოფ. ვაიო

დასახელება	მეთოდი The International Honey Commission	ზღვრული რაოდენობა	შედეგი	შენიშვნა
ფერი	ორგანოლექტიკური		მუქი	
გემო	ორგანოლექტიკური		მომწარო - მოტკბო	
არომატი	ორგანოლექტიკური		წაბლის ყვავილი	
ნახშირწყლებისჯამური (საერთო) რაოდენობა, გ/100 გ-ში	რეფრაქტომეტრია			
ყვავილის (ნექტარის) თაფლი		>60	78,9	
საქაროზის შემცველობა (გ/100გ)				
ზოგადად	HPLC	<5	<5	
წყლის მასური წილი (%)				
ყველა სახეობის თაფლისათვის	რეფრაქტომეტრია	<20	21,1	
წყალში უხსნადი მყარი ნაწილაკები (გ/100გ)				
თაფლის ყველა სახეობისათვის, გარდა დაწნეხილი თაფლისა	გრავიმეტრია	<0,1	0,079	
ელექტროგამტარობა (მილისიმენსი/სმ - მლს/სმ)				
თაფლის ყველა სახეობისათვის და მათი ნარევისათვის	კონდუქტომეტრია	<0,8	1,413	
თავისუფალი მჟავიანობა, მილიექვ./100გ				
თაფლის ყველა სახეობისათვის		<50	23	
pH	pH-მეტრია		4.671	
დიასტაზური (ამილოლიზური) აქტივობა (შადესშკალისმიხედვით)				
ყველა სახეობის თაფლისათვის, გარდა საკონდიტრო თაფლისა	სპექტრალური	>8	>8	
საერთო ფენოლები, მგ/კგ	ფოლინ- სიოქალთაუ		414,48	
ანტიოქსიდანტური აქტიურობა 0,1 mM DPPH 50 % ინჰიბირება	სპექტრალური	%	75,9	
ნაცარი, %	გრავიმეტრია		1,43	

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საგრანტო ხელშეკრულება № 216816

კვლევის ოქმი

თარიღი: **2016**

პროდუქტი: **თაფლი წაბლის - იმერეთი, სამტრედია**

დასახელება	მეთოდი The International Honey Commission	ზღვრული რაოდენობა	შედეგი	შენიშვნა
ფერი	ორგანოლექტიკური		მუქი	
გემო	ორგანოლექტიკური		მომწარო - მოტკბო	
არომატი	ორგანოლექტიკური		წაბლის ყვავილი	
ნახშირწყლებისჯამური (საერთო) რაოდენობა, გ/100 გ-ში	რეფრაქტომეტრია			
ყვავილის (ნექტარის) თაფლი		>60	79,7	
საქაროზის შემცველობა (გ/100გ)				
ზოგადად	HPLC	<5	<5	
წყლის მასური წილი (%)				
ყველა სახეობის თაფლისათვის	რეფრაქტომეტრია	<20	20,3	
წყალში უხსნადი მყარი ნაწილაკები (გ/100გ)				
თაფლის ყველა სახეობისათვის, გარდა დაწნეხილი თაფლისა	გრავიმეტრია	<0,1	0,084	
ელექტროგამტარობა (მილისიმენსი/სმ - მლს/სმ)				
თაფლის ყველა სახეობისათვის და მათი ნარევისათვის	კონდუქტომეტრია	<0,8	2,082	
თავისუფალი მჟავიანობა, მილიექვ./100გ				
თაფლის ყველა სახეობისათვის		<50	34	
pH	pH-მეტრია		5,7	
დიასტაზური (ამილოლიზური) აქტივობა (შადესშკალისმიხედვით)				
ყველა სახეობის თაფლისათვის, გარდა საკონდიტრო თაფლისა	სპექტრალური	>8	>8	
საერთო ფენოლები, მგ/კგ	ფოლინ- სიოქალთაუ		352,18	
ანტიოქსიდანტური აქტიურობა 0,1 mM DPPH 50 % ინჰიბირება	სპექტრალური	%	64,16	
ნაცარი, %	გრავიმეტრია		1,56	

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საგრანტო ხელშეკრულება № 216816

კვლევის ოქმი

თარიღი: **2016**

პროდუქტი: **თაფლი წაბლის - აჭარა, ქობულეთის რაიონი, სოფ. ჭახათი**

დასახელება	მეთოდი The International Honey Commission	ზღვრული რაოდენობა	შედეგი	შენიშვნა
ფერი	ორგანოლეპტიკური		მუქი	
გემო	ორგანოლეპტიკური		მომწარო - მოტკბო	
არომატი	ორგანოლეპტიკური		წაბლის ყვავილი	
ნახშირწყლებისჯამური (საერთო) რაოდენობა, გ/100 გ-ში	რეფრაქტომეტრია			
ყვავილის (ნექტარის) თაფლი		>60	78,5	
საქაროზის შემცველობა (გ/100გ)				
ზოგადად	HPLC	<5	<5	
წყლის მასური წილი (%)				
ყველა სახეობის თაფლისათვის	რეფრაქტომეტრია	<20	21,5	
წყალში უხსნადი მყარი ნაწილაკები (გ/100გ)				
თაფლის ყველა სახეობისათვის, გარდა დაწნეხილი თაფლისა	გრავიმეტრია	<0,1	0,068	
ელექტროგამტარობა (მილისიმენსი/სმ - მლს/სმ)				
თაფლის ყველა სახეობისათვის და მათი ნარევისათვის	კონდუქტომეტრია	<0,8	1,498	
თავისუფალი მჟავიანობა, მილიექვ./100გ				
თაფლის ყველა სახეობისათვის		<50	19	
pH	pH-მეტრია		4,78	
დიასტაზური (ამილოლიზური) აქტივობა (შადესშკალისმიხედვით)				
ყველა სახეობის თაფლისათვის, გარდა საკონდიტრო თაფლისა	სპექტრალური	>8	>8	
საერთო ფენოლები, მგ/კგ	ფოლინ- სიოქალთაუ		365,64	
ანტიოქსიდანტური აქტიურობა 0,1 mM DPPH 50 % ინჰიბირება	სპექტრალური	%	61,37	
ნაცარი, %	გრავიმეტრია		1,7	

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საგრანტო ხელშეკრულება № 216816

კვლევის ოქმი

თარიღი: **2016**

პროდუქტი: თაფლი წაბლის - აჭარა, ქედის რაიონი, სოფ. პირველი მათისი

დასახელება	მეთოდი The International Honey Commission	ზღვრული რაოდენობა	შედეგი	შენიშვნა
ფერი	ორგანოლექტიკური		მუქი	
გემო	ორგანოლექტიკური		მომწარო - მოტკბო	
არომატი	ორგანოლექტიკური		წაბლის ყვავილი	
ნახშირწყლებისჯამური (საერთო) რაოდენობა, გ/100 გ-ში				
ყვავილის (ნექტარის) თაფლი		>60	77,2	
საქაროზის შემცველობა (გ/100გ)				
ზოგადად	HPLC	<5	<5	
წყლის მასური წილი (%)				
ყველა სახეობის თაფლისათვის	რეფრაქტომეტრია	/ <20	22,8	
წყალში უხსნადი მყარი ნაწილაკები (გ/100გ)				
თაფლის ყველა სახეობისათვის, გარდა დაწნეხილი თაფლისა	გრავიმეტრია	<0,1	0,08	
